

საპროლაბარეო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლაბარეოთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

21 მაისი, შაბათი, 1988 წ. № 98 (9765) შპსი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

გამოცემის სახელი: „ფიზკულტურა მისაღებ გამოცემაზე“

# საერთო დაინტერესება, წინადადება...

● სავსებით ვეთანხმები და ვუკერ მხარს სიხალსე, რომელიც ითვალისწინებს უმალეს სსსრკ-ში მისაღებ გამოცემების ჩატარებას ფიზიკურ კულტურაში. უპირატესობას ვანიჭებ მესამე ვარიანტს, რადგან მასში ჩართულია ცურვა, რომლის ცოდნა ყველა ადამიანისათვის აუცილებლად მიმაჩნია. ჩემი აზრით, აბიტურაენტთა შემოწმება უნდა მოხდეს წელსვე და უშუალოდ მისაღებ გამოცემის წინ. ის ექვი, რომ გამოცემამდე დარჩენილ მცირე დროში აბიტურაენტები ვერ მოასწრებენ მომზადებას, უსაფუძვლოა. ახალგაზრდა, რომელიც ვერ შეწყდება გაცილებით გამართლებულ და რამდენიმე ვარიანტად შეერთავეზებულ ნორმატივებს, სახალხო მეურნეობისათვის გამოუსადეგარი სპეციალისტი იქნება მიუხედავად მისი თეორიული მომზადებისა (როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური).

● ფიზკულტურა უნდა ჩატარდეს პირველ გამოცემაში, რომ გავლენა მოახდინოს საერთო კონკურსში. ყველა ვარიანტში აუცილებელია ცურვის დამატება, დროის გირეში. აბიტურაენტებმა, რომლებიც ცხოვრობენ იმ რაიონებში, სადაც ცურვის შესწავლა შეუძლებელია, ჩააბარონ მძლეოსნური კროსი.

● გამოცემა ფიზკულტურაში წელსვე უნდა ჩატარდეს. მისი გადადება დაუშვებელია. ეს ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებასა და მომზადებას. საკუთარი პრაქტიკიდან ვიცი, არ არსებობს ბავშვი, რომელიც არ იყოს დაინტერესებული სპორტით. მოვითხოვ მეორე ვარიანტს ცურვის დამატებით, გამოცემის გარდა, რომელიც უმეტეს ადგილზე „ლელოში“ მოყვანილი მეორე ვარიანტის ნორმატივები შეიძლება შეასრულოს ყველა ჩანართელმა აბიტურაენტმა ერთი თვის ვარჯიშით. ეს ნორმატივები უფრო რთული უნდა შეიცავდეს ორ წელიწადში ვიმედოვნებ, ხუთ წელიწადში გვეყოლება სრულიად ჩანართელი ახალგაზრდა, ნიჭიერ სპორტსმენთა რიცხვიც იმატებს (ე. სიმონია, მწვრთნელი, ცხინვალი).

● ვეხმარები თქვენს მიერ 12 მაისის „ლელოში“ გამოქვეყნებულ წერილს „ფიზკულტურა მისაღებ გამოცემაზე“.

● ჩემი აზრით, ეს ღონისძიება ერთად დავიანებოთ. მაგრამ ნათქვამია „სკოლის გვიან ვიდრე არასდროს“. შემოთავაზებული სამი ვარიანტიდან უპირატესობას ვანიჭებ II ვარიანტს. ცურვა კი ყველა ვარიანტში უნდა შედიოდეს. ნიშნებით შეფასება უფრო სარგებელია ვიდრე ჩათვლა, არა მარტო უმალეს სსსრკ-ში, არამედ საშუალო სკოლაშიც (ნოდარ კურტიანი, ინჟინერი, ქიათურა).

## ჩვენ ასე ვფიქრობთ

● წელს მისაღებ გამოცემაზე ფიზკულტურა, ჩათვლა იქნება ეს თუ გამოცემა, სავსებით გავხადით მხოლოდ იმთავითვე, ვინც ახლა ამთავრებს საშუალო სკოლას. მომავალი წლიდან კი იგი ყველა სხვისი გავხადით აუცილებელი (ზაირა სოლომონი, ექიმი, თბილისი).

● წელს, რამდენადაც ვიცი, ადრინდელისგან განსხვავებით მიმდებარე კომისიას უფლება აქვს მისაღებ გამოცემებში თამაშად შეიტანოს საჭირო ცვლილებები, თუკი ეს აუცილებლად მიმაჩნია. მაშ, რაღა გვებარებოდა? წელსვე გავუხსნათ გზა სიხალსე. ოღონდ ჩვენ ფიზკულტურაში მისაღებ გამოცემაზე ჩათვლის მომხრე ვართ (ვაჟა და ელენე დიდბუღიძეები, თბილისი).

● ჩემი აზრით, ფიზკულტურაში ნორმატივების ჩაბარება აუცილებლად იმათ უნდა მოეთხოვროთ, ვინც წელს დაამთავრა სკოლა და სურვილისამებრ იმათ, ვისაც ამის სურვილი აქვს, რათა ჩარიცხვისას უპირატესობა მიენიჭოს თანაბარყოფილ კონკურსში (ბიძინა ქვეციშვილი, ელემტრომემულაბელი, რუსთავი).

## გამოთქმა ტურნირს

● სავსებით არაფერია, ვფიქრობ, ნორმატივების ჩაბარება ჩანართელობის ცნობის დადასტურება და მეტი არაფერი. განა ინსტიტუტში საბუთებზე მიიღებენ სამედიცინო ცნობის გარეშე? საზოგადოებას ფიზიკურად ჯანსაღი სპეციალისტები ესაჩიროება, არც ეს არის ექვის ქვეშ დასაყენებელი საკითხი (მზია რეხვიანი, ლაგოდეხი).

● კარგი წამოწყება და სასურველია იგი წელსვე დაინერგოს. 12 მაისის პუბლიკაციაში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ, ვაივლიან თუ არა შემოწმებას თანრიგისანი სპორტსმენები. ვფიქრობ, თანრიგისნების, სპორტის ოსტატობის კანდიდატებისა და ოსტატების შემოწმება არალოგიკური იქნებოდა. (მ. კაპახიძე, თბილისი).

● სადაც არ არის, რომ დიდებული საქმე კეთდება, მაგრამ ვეკვობ წელს ეს მისაღებ იყოს. ხელოვნური პრობლემა არ შევქმნათ აბიტურაენტებისათვის. ყველა ვარიანტი მისაღებია (ცოტა სასაცილოდც გაიოლებული, ყოველ შემთხვევაში ჩემი თაობის წარმომადგენლებისათვის).

● თუ ეს უადრესად კეთილშობილური სიხალსე წელსვე დაინერგება მაშინ საქმეს ნულარ გადავდებთ. დიდი მადლობელი ვიქნები თუ ეს წერილი ბოლო იქნება. ბარემ გადასაწყვეტი საკითხი გადაწყდეს. ისედაც დავიანებოთ ვართ (გიორგი ჩიკვიძე, ინჟინერი, ტექნოლოგი, თბილისი).

● სადაც არ არის, რომ დიდებული საქმე კეთდება, მაგრამ ვეკვობ წელს ეს მისაღებ იყოს. ხელოვნური პრობლემა არ შევქმნათ აბიტურაენტებისათვის. ყველა ვარიანტი მისაღებია (ცოტა სასაცილოდც გაიოლებული, ყოველ შემთხვევაში ჩემი თაობის წარმომადგენლებისათვის).

● თუ ეს უადრესად კეთილშობილური სიხალსე წელსვე დაინერგება მაშინ საქმეს ნულარ გადავდებთ. დიდი მადლობელი ვიქნები თუ ეს წერილი ბოლო იქნება. ბარემ გადასაწყვეტი საკითხი გადაწყდეს. ისედაც დავიანებოთ ვართ (გიორგი ჩიკვიძე, ინჟინერი, ტექნოლოგი, თბილისი).

# ახლა გდრ-ის გზაზე

● შვიდობის ველობროლის მეტროს ეტაპი გდრ-ის წარმომადგენელმა ვერნერ შტრაუფმა მოიგო. 196 კილომეტრი კამენა-გურადან ლეგნიცამდე მან 4:57:11-ში დაფარა. ასეთივე შედეგი ჰქონდათ მეორე ადგილზე გასულ იტალიელს ჯოვანი ფიდანცას და პოლანდიელ

ტომ კორდესს, რომელსაც მსაჯებმა მესამე ადგილი მიაკუთვეს. პირად ჩათვლაში ბროლის კვლავ გდრ-ის წარმომადგენელი უვე ამპლერი ლიდერობს, გუნდურში კი პირველობას საბჭოთა ველოსიპედისტები ინარჩუნებენ.

## პროკის ღია ჩაპონობი რაგბიში

# ჩვენ და შრანგები

მხირა მიოხილვა პრინციული პატივის მოლოდინი

ხვალ დიდი რეგბი კვლავ ეწვევა ქუთაისს. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა კავშირის რეგბისტთა ნაკრები ჩამოყვარული რეგბისტების საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) XXIII ჩემპიონატის მატჩში უმასპინძლებს საფრანგეთის გუნდს. შეხვედრა 17 საათზე დაიწყება.

საბჭოთა და ფრანგი რეგბისტების კონტაქტებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ფრანგი მუშასპორტსმენი, შემდგომში ფრანგული სპორტული ვაზეთის — „ლეკის“ მოსკოველი კორესპონდენტი უან ნო საბჭოეთში რეგბისტთა პირველი გუნდების ჩამოყალიბების თაოსანი, მათი პირველი მწვრთნელი და შეჯიბრებათა მსაჯი იყო. დიდი ამაგი დასდეს ჩვენში რეგბის განვითარებას ფრანგულმა გუნდებმა, რომლებმაც 1957, 1967, 1970, 1973, 1977 და 1980 წლებში ახანაგური მატჩები ჩაატარეს საბჭოთა კავშირში. გამოცდილ სტუმრებთან

შეხვედრა საბჭოთა რეგბისტებისთვის საუკეთესო სკოლა იყო. 1978 წლის შემოდგომიდან მოყოლებული ჩვენი ნაკრები უცვლელად მონაწილეობს ფირას ჩემპიონატის „ა“ ჯგუფის გუნდების შეჯიბრებაში და ფრანგ და საბჭოთა რეგბისტთა შეხვედრებიც რეგულარულად ეწყობა. დღემდე შეტოქეები 9-ჯერ შეხვედნენ ერთმანეთს: 6 მატჩი მოიგეს ფრანგებმა, 2 — საბჭოთა რეგბისტებმა (ორივე სტუმრად), ერთი თამაში კი ფრედ დამთავრდა. აი, ამ შეხვედრათა შედეგები:



საბჭოთა კავშირი — საფრანგეთი

11.11.1978	ტულუზა	7:29
18.05.1980	მოსკოვი	7:18
18.10.1980	ანგულემი	10:23
23.05.1982	მოსკოვი	10:10
01.12.1982	ბორდო	12:6
20.05.1984	მოსკოვი	3:82
18.05.1985	ტიული	21:85
08.05.1986	ლენინგრადი	7:14
01.11.1986	ბეგლი	15:9

იხ. მ. 2 33


# შრომის დაფასება

საქართველოს სპორტსახკომმა რესპუბლიკაში მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სიგელით დააჯილდოვა ტრესტ „საქსპორტმშენის“ მმართველის მოადგილე — რესპუბლიკური სპეციალიზებული ოლიმპიური ობიექტების რემონტისა და მშენებლობის სამმართველოს უფროსი ნოდარ დომენტის ძე ჯობავა.

# გამოთქმა ტურნირს

● სტრასბურში. აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ნატალია ზეირევამ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა — დაამარცხა გფრ-ის წარმომადგენელი ზილკე მაიერი — 6:4, 6:2.

● ლეილა მესხის მეტოქე არგენტინელი ბეტინა ფულკო გახლდათ. თბილისელმა ჩოგბურთელმა მიიღო ტრავმა და პირველი პარტია დათმო — 5:7. მეორეში, როცა ანგარიში 0:1 გახდა მესხმა ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო და გამოეთიშა ასპარეზობას.



● ჰაბუკ ცხენოსანთა რესპუბლიკური ასპარეზობაში, რომელიც ახლახან გაიმართა თბილისში, მონაწილეობდნენ გალის, გულრიფშის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ფოთისა და თბილისის მხედრები. ეს იყო პირად-გუნდური ასპარეზობა ცხენოსნობის ოლიმპიურ სახეობებში. „გახსნის პრიზი“ და „სიჭაბუკის თასი“ დაბრკოლებათა გადალახვაში უძლიერესი იყო ზუგდიდელი მხედარი რ. ლავილაძე. ცხენის გავრთვაში ყველას აჯობა მ. რევიშვილმა (განათლების სამინისტროს სპორტსკოლა), სამჭიდი მოიგო ოჩაჩიჩიელმა მხედარმა სერგეი საკიანამ. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა განათლების სამინისტროს სპორტსკოლის გუნდი: ა. ჭელიძე, მ. რთველიაშვილი, გ. აფციანური. მეორე იყო ზუგდიდის ნაკრები, მესამე — ოჩაჩიჩიელი ცხენოსნები.

● გამარჯვებული მხედრები ჰაბუკთა საკავშირო თამაშებისთვის ემზადებიან.

ს უ რ ა თ ე ე: ა. ჭელიძე ასპარეზობისას. თამაშ ქიქავას ფოტო.



# მსურველებსაც იფხვეან

21-22 მაისს კიკეთში პროფკავშირთა სპორტსახკომის თბილისის საქალაქო საბჭო დედაქალაქის მუშა-მოსამსახურეთათვის აწყობს ტურისტულ ლაშქრობა-შეკრებას. შეკრების ადგილზე ჩატარდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება. პროგრამაშია შეკრებები სიმძიმეების აწევაში, ყულმარის ტყორცნასა და ბაგირის გადაძალვაში.

22 მაისს, 12 საათზე ქართული


ქილაობის დღესთან დაკავშირებით გლდანის საჯილაო დარბაზში გაიმართება შეჯიბრება ქართულ ჭილაობაში. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მსურველებსაც შეუძლიათ.

● კოლუგია (აშშ, სამხრეთ კაროლინას შტატი). სსრ კავშირის იუნორ კალათბურთელთა ნაკრებმა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში მერვე ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ამჯერად მან სამხრეთ და ჩრდილოეთ კაროლინის ნაკრები გუნდი დაამარცხა 96:95. ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი ანდრეი ლუკიანეცი იყო — 29 ქულა.

ერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც ბულგარეთის საკურორტო ქალაქში დაიწყო. პირველ მატჩში ჩვენმა სპორტსმენებმა დაამარცხეს ინტერნაციონალური გუნდი „დრუჟბა“ — 88:66 (36:30). სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: უნგრეთი — ბულგარეთი 67:56 (36:29), იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 101:69 (51:41).

● პარტი (ავსტრალია). ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ უნგრეთისა და მსურველებსაც იფხვეან

● პარნა. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გულმოდგინედ ემზადება ოლიმპიური შესარჩევი ტურნირისათვის. სწორედ ამ ამოცანას ისახავს მიზნად სა-



# ჩვენ და შრანგები

(დასასრული)

როგორც ხედავთ, ფრანგებთან შეხვედრებში საბჭოთა რეგისტრების უკეთესი ბალანსი აქვთ, ვიდრე რუმინელებთან (1 მოგება, 9 წაგება). საქმე ისაა, რომ საფრანგეთის რეგისტრის ფედერაციას სხვადასხვა რაზმის მეტოქეთა წინააღმდეგ განსხვავებული სიძლიერის ნაკრებები გამოჰყავს. კერძოდ, ხუთი ერის პირველობაზე, მსოფლიო თასზე და რეგისტრის საერთაშორისო საბჭოს (იბ) მუდმივ თუ დროებით წევრებთან სასპორტულო საფრანგეთს ე. წ. „საფრანგეთი 15“ (ეროვნული ნაკრები) წარმოადგენს, სხვა შეჯიბრებებში კი ფრანგული რეგისტრის ლირსებას ქეორე („ა“) ან მესამე („ბ“) ნაკრებები იცავენ. არსებობს კიდევ ერთი საშუალოდ გუნდი („ა პრიმი“), რომელიც რამდენიმე ვაილიერებულ მეორე ნაკრებია. სწორედ „ა“ ან „ა პრიმი“ ნაკრებებთან წარმოდგენილი საფრანგეთი ფირას ჩემპიონატებში (რუმინელებთან შეხვედრების გამოკლებით) ჩვენს რეგისტრებს სწორედ ამ გუნდებთან უწევთ თამაში (გამონაკლისი იყო მხოლოდ 1978 წლის შეხვედრა, როცა ფრანგებმა „ა“ ჯგუფის ახალგაზრდა წინააღმდეგ პირველი ნაკრები გამოიყვანეს).

ასეა თუ ისე, ხვალ საბჭოთა რეგისტრებს მეტად პრინციპული მატჩი ელით. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგები ალბათ არც ამჯერად ჩამოყვანენ უძლიერეს შემადგენლობას, მათ რიგებში მაინც არაერთი ცნობილი რეგისტრი იქნება. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა

ღროს მსოფლიო რეგისტრის ვარსკლავები — რივი, პაპარემბორდი, ბლანკო, დიუბროკა სწვევიან. ასეთ გუნდთან კიდევ ერთი გამარჯვება, იმედია, ბოლოს და ბოლოს შეეცდებიან აზრს საფრანგეთის რეგისტრის ფედერაციას და ის ჩვენს რეგისტრებთან სასპორტულო მომავალში, ალბათ, პირველ ნაკრებს მოაუღებს.

საბჭოთა ნაკრებს ფრანგებთან გამარჯვება მარტოოდენ პრესტიჟული მოსაზრების გამო როდი სჭირდება. ჩემპიონატის მეორე წრეში ჩვენი ნაკრები ოთხიდან სამ შეხვედრას სტუმრად გამართავს, ასე რომ, საბჭოთა რეგისტრებს საბოლოოდ კარგი ადგილის დაკავება თუ სურთ, შინ უსათუოდ უნდა გამარჯვდნენ.

დასასრულ, წარმოვიდგინოთ ფრანგულ რეგისტრის საფრანგეთის რეგისტრის პირველი ჩრდილოეთის სანაჯსადგურთა ქალაქ ლეავრში ითამაშეს 1870 წელს. 1892 წელს მოეწყო ქვეყნის პირველი ჩემპიონატი. საფრანგეთის ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი გამართა 1906 წელს: პარიზში წააგო ევროპაში სტუმრად მყოფ ახალზელანდიელებთან — 8:38. 1910 წლიდან ფრანგები ოთხ ბრიტანულ ქვეყანასთან ერთად ჩაებნენ ხუთი ერის პირველობის გათამაშებაში. 1920 წელს დაარსდა საფრანგეთის რეგისტრის ფედერაცია, რომელიც დღესდღეობით 200 ათას რეგისტრს აერთიანებს (ამ მაჩვენებლით საფრანგეთი ჩამოუვარდება მხოლოდ ინგლისს, სადაც 300 ათას მოყვარულ რეგისტრს ითვლიან). 1924 წელს პარიზში გამართულ VIII ოლიმპიადაზე ფრანგები სასტიკად დამარცხდნენ ამერიკელ რეგისტრებთან (უფრო სწორად, ამერიკული ფეხბურთის მოთამაშებთან) — 3:18, 1931 წელს კი ფრანგულ რეგისტრის მორიგი უხედიერება დააბრუნდა თავს: ბრიტანელებმა ფრანგ რეგისტრებს პროფესიონალობა — თამაშისათვის გასამრჯელოს აღება დააბრალეს და მათთან კავშირი გაწყვიტეს. ამის საპასუხოდ ფრანგებმა 1934 წელს კონტინენტურ

კავშირი და 1947 წლიდან ხუთი ერის პირველობის გათამაშებაც განახლდა. ამ დროისთვის ფრანგული რეგისტრები მოლონირდა, ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მის სამხრეთში, რეგისტრის ბუმი დაიწყო და მალე წარმატებაც მოვიდა. 1948 წელს ფრანგებმა პირველად გაიმარჯვეს კარდიფში (უელსელებთან, 11:3), 1954 წელს პირველად სლო-

ხედვით ფრანგები დღესდღეობით მხოლოდ უელსელებსა და ინგლისელებს ჩამორჩებიან, რომლებმაც შესაბამისად 22-ჯერ და 19-ჯერ მოიპოვეს ხუთი ერის ჩემპიონობა. 1968 წელს საფრანგეთის ნაკრებმა კარდიფში კარდიფის ხელმძღვანელობით პირველად სლოვაკეთში ბრიტანულ გუნდს და პირველი დიდი სლოვაკეთის შემდეგ კი ეკი ფურუს წინამძღობით, რომელიც დღესაც ხელმძღვანელობს გუნდს, კიდევ სამჯერ (1977, 1981, 1987 წლებში) მოიპოვა ეს სიმბოლური ჯილდო. 1979 წელს ფრანგებმა პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად სლოვაკეთის ახალზელანდიელებს მათსავე მოედანზე, 1987 წელს კი ახალზელანდიასა და ავსტრალიას (30:24) გუნდებს, მხოლოდ ახალზელანდიელებთან დამარცხდნენ თინალში (9:29) და დამსახურებულად მოიპოვეს მსოფლიოს მეორე გუნდის წოდება. თუ იმასაც გავისვენებთ, რომ დღემდე გამართული ფირას 22 პირველობიდან 17-ში ფრანგებმა გამარჯვება (ხუთჯერ — 1969, 1975, 1977, 1981, 1983 წლებში) ჩემპიონობა რუმინელებმა მოიპოვეს, რომ ნაკრების წამყვანი მოთამაშეები — ბლანკო, სელა, ბერბიზი, დიუბროკა, ლორიო, როდრიგესი მსოფლიო ღონის ვარსკვლავები არიან, რომ იბ-ის თავმჯდომარე ამჟამად ფრანგ ალბერ ფერასია და ქვეყნის ჩემპიონატის მატჩი „ა“ ჯგუფში 80 კლუბია გაერთიანებული, ცხადი გახდება, თუ რა ძალის მეტოქესთან მოუწევთ შერკინება საბჭოთა რეგისტრებს.



ევროპაში დააარსეს ფირა, რომელიც სადღესოდ 40-მდე წევრს კი ითვლის, მაგრამ ავტორიტეტითა და ფინანსური შეძლებით მაინც ვერ შეედრება იბ-ს, რომელიც მხოლოდ რვა ქვეყნის რეგისტრებს ირიცხებინა. 1945 წელს ბრიტანეთის იმპერიისა და საფრანგეთის ნაკრების მატჩით (ფრანგებმა ეს შეხვედრა წააგეს 6:27), აღდგა ცხელ გულზე გაწყვეტილი

ეს ახალზელანდიელებს (პარიზში, 3:0), 1958 წელს ლოუსიენ მის ხელმძღვანელობით ტროუმფით მოიარეს სამხრეთი აფრიკა, 1954 წლიდან დღემდე კი, ისე, რომ პირველ 24 შეჯიბრებაში ერთხელაც არ გამხდარან ჩემპიონები, 15-ჯერ (1954-55, 1959-62, 1967-68, 1973, 1977, 1981, 1983, 1986-1988 წლებში) გამარჯვეს ხუთი ერის პირველობაში. ამ მაჩვენებლის მი-



## ლოპიური პარადოქსი

ჩვენები ნაკრებში

დათო ხრიკაძე აღრე გავიციანი. თბილისელ ბეისბოლის მოყვარულთა იმ ჯგუფში, შემდგომში ამ ახალი სახეობის მესამიერკლდე რომ გახდა ჩვენში, მისი გამორჩევა ძნელი არ იყო. მხიარული ხასიათი, სიხალისე და, რაც მთავარია, სიმარჯვე — აი, რა გამოარჩევდა მას თანაგუნდელებისგან. ბეისბოლის სელექციონერის ალლო როგორ დაეინფემო, მაგრამ პირველივე ვარჯიშებზე ისე „ხელმარჯვედ სცემდა ჩოგანს“, რომ ვიფიქრე: ამ ჩვენი ახალბედა ბეისბოლისტებისგან ვინმე თუ გამოიჩენს თავს, პირველი ეს იქნება. ასეც მოხდა. საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა პირველად მას დაადგეს თვალი.

— მაინც რა ხილია ეს ბეისბოლი? — ვკითხე ერთხელ. — იცი რას გეტყვი? კერძოდ დეტალებით ვგრძნობ თავს. მყისიერად, სირბილ-სირბილ უნდა მიიღო ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება, თავხეზელალებული იერიშიც უნდა შეგეძლოს და დროული უკანდახევა. ეს თუ ვერ მოახერხებ, მერწმუნებ, ვერაფერს გახდები. — მიპასუხა.

ასეთი რამ თუ გსმენიათ: ესა თუ ის სახეობა კაცისთვის ჩინური ანბანი იყო, სექციამი მივიდეს, თამაში მასწავლეთო, მორიდებით ითხოვოს და... ორ-სამ დღეში საკავშირო ნაკრების წევრი გახდეს. არა, ალბათ, არ გსმენიათ, ან კი როგორ, ასეთი რამ ხომ, ჩვეულებრივ, არ ხდება. არადა, ზუსტად ასე იყო ჩვენსოლოველი ბეისბოლისტებთან ამხანაგური მატჩების სერისის ჩასატარებლად შარშან თბილისის საბჭოთა კავშირის ბეისბოლისტთა ნაკრები ეწვია. თამაშის წინა დღეებში საკავშირო ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელთან, საქართვე-

ლოს ბეისბოლისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელთან გელო ჩინბაძესთან ერთი ყმაწვილი მივიდა და გამომცადეთ, თუ გამოვდგები, თქვენთან ერთად კივარჯიშებო, სთხოვა. გამოსცადეს...



— რომ იცოდეთ, ეს რა კარგი ბიჭი ვიპოვეთ, — მითხრა მაშინ გელო ჩინბაძემ — ბურთის სროლაში რომ ვცდიდით, კინაღამ სურათი შეგვეყვარა — ორიბი ქარი დაავყენა ამ ტრიალ მინდორზე. ეს, ალბათ, სპორტსმენია, გავიფიქრე და ვკითხე კიდევ. — ხელბურთელი ვარ, — გამობრწყადა ხეჩია ყაველაშვილი. მერე საკავშირო ნაკრების მწვრთნელებსაც აჩვენეს და... ახლა დათო ხრიკაძე და ხეჩია ყაველაშვილი საბჭოთა კავშირის ბე-

ისბოლისტთა ნაკრები გუნდის წევრები არიან. ამასწინათ ქართველი ბეისბოლისტები და მათი მწვრთნელი გელო ჩინბაძე გაემგზავრნენ მოსკოვში, სადაც საკავშირო ნაკრებმა შეკრება მოაწყო. შეკრების პერიოდში ჩვენმა სპორტსმენებმა რამდენიმე საწვრთნელი მატჩი გამართეს მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების უცხოელი სტუდენტებთან დაკომპლექტებულ გუნდებთან. ამ გუნდებში ძირითადად ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ეროვნული ახალგაზრდული ნაკრებების ყოფილი წევრები თამაშობენ და საკმაოდ ანგარიშსწავლევ მტოქეებდაც ითვლებიან. საწვრთნელი მატჩების სერია



საბჭოთა ბეისბოლისტების გამარჯვებით დასრულდა და ამ გამარჯვებაში ქართველი ბეისბოლისტების დიდი წვლილიც არის. 17 მატჩი კი ჩვენი ქვეყნის ნაკრები გაემგზავრა კუბაში იქაურ ბეისბოლისტებთან საწვრთნელი და ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად.

დასასრულს დიდი ინტერესი გამოიწვია ვიეტორინამ — ჩვენი ინტერნაციონალისტები ვართ. გამარჯვებულთა ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

**მერაბ გომიანი,**  
სპი-ს საზოგადოებრივი პროფესიების ურნალისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი.

## შეიძინეთ თბილისური საფეხბურთო ნივთები... კიბეში!

პირველ საფეხბურთო სეზონის დადგომასთან გულშემატკივართა წიგნის თაროზე გაზაფხულის მირცხლებივით გამოჩნდება ხოლმე ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გამოცემული ცნობარები, ყველასათვის გასაგებია და ნაცნობი სიტყვა „ფეხბურთი“ რომ აწერია. ერთმა ნაცნობმა გულშემატკივარმა იხუმრა კიდევ — „გეოგრაფიას“ ამ ცნობარებით ვსწავლობო. თავად განსაჯეთ: მოსკოვი, ტომსკი, სარატოვი, მახაჩკალა, კუიბისევი, დუშანბე, რიგა, ტაშკენტი, ტამბოვი, სარატოვი, იოშკარ-ოლა... და ასე შემდეგ (აი, ახლაც, უკვე გამოჩნდა მოსკოვის, ხარკოვის, მინსკის, ლენინგრადის ცნობარი-კალენდრები).

ეს კარგი ტრადიცია ჩვენშიც დამკვიდრდა — თბილისში, მოგვიანებით კი ქუთაისში და ლანჩხუთში. წლების მანძილზე (დაწყებული 1942 წლიდან) თბილისში ჯერ ქართულ, მერე კი რუსულ ენაზეც რესპუბლიკის სპორტულ ურნალისტთა ფედერაციის ეგადით გამოცემის საფეხბურთო ცნობარები. არ ვიტყვი, რომ იგი ოპერატიულად ისტამბულოდა და ადრეულ გაზაფხულზე, ტყავის ბურთზე პირველ დარტყმასთან ერთად, ჩნდებოდა ხოლმე საგაზეთო ჩიხურებსა თუ წიგნის მაღაზიებში. მაგრამ ერთი რამ ცხადია — ცნობარი მუდამ პოპულარობით ხარგებლობდა ფეხბურთის მოყვარულებში და საკავშირო კონკურსშიც რამდენჯერმე აღინიშნა.

წლეულს კვლავ გამოჩნდა თბილისში გამოცემული ცნობარი (რუსულ ენაზე). ურადდება მივსჯიყეთ უჩვეულოდ დიდ ტირაჟს — 170 ათასი (აღრე 40-50 ათასი იყო ხოლმე), რაც თურმე იმით აიხსნება, რომ... უკრაინის რესპუბლიკურმა წიგნის კანტორამ თბილისელ გამოცემელებს შეუწყვთა, არც მები, არც ნაკლები, 150 ათასი ცალი „ფეხბურთი-88“ (გახულ წელს, მაგალითად, დნებროპეტროვსკშიც ასევე მოთხოვნით გაიგზავნა ჩვენი ცნობარები). ცოტა არ იყოს უცნაურიცაა, რომ მოკავშირე რესპუბლიკა ასეთი დიდი რაოდენობით გვეყვეთავს საფეხბურთო ცნობარს, რომლის შინაარსის მესამედი მაინც ქართულ ფეხბურთს ეხება.

საკვირველი კია, მაგრამ ფრიად მისასალმებელი და მოსაწონი, რადგან, როგორც გვითხრეს, უკრაინის წიგნით ვაქრობის ორგანიზაცია ქვეყნის სხვა ქალაქებიდანაც იღებს დიდი რაოდენობით ადგილობრივ საფეხბურთო ცნობარებს, რითაც კარგ საჩუქარს სთავაზობს თავისი არსებულების გულშემატკივრებს. (ეს ცნობარები, მაგალითად, უხვად იყიდება უკრაინის დედაქალაქის სპორტული წიგნის სპეციალიზებულ მაღაზიაში, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი თბილისის „ისინდუი“!).

ახლა გადავხედოთ, ასე ვთქვათ, ციფრებს. უბრალო მათემატიკაა: ტირაჟი, როგორც მოგახსენეთ, 170 ათასია, უკრაინაში გაიგზავნა 150 ათასი, ე. ი. საქართველოში დარჩა სულ 20 ათასი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს რესპუბლიკას, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებს, დედაქალაქის გარდა, კიდევ „გაჩინაო“ სხვა ქალაქები, რომლებშიც არანაკლები თავდადებული ფეხბურთის გულშემატკივრები ცხოვრობენ და რომლებსაც, აგრეთვე სურთ ყველაფერი წაიკითხონ საყვარელი თამაშის შესახებ, გამოდის, რომ თბილისის დარჩა სულ... 500 ეგზემპლარი (!) ცნობარი. ისიც „სოიუზპრესის“ ხაზით განაწილდა, აი, „საქიფანმა“ კი არც ერთი ცალი არ შეუწყვთა.

არა უშავს რა, ინუგეუმებენ თავს ჩვენი გულშემატკივრები, რომლებმაც ვერ იშოვეს თბილისური ცნობარი — სულ მალე ქართული ცნობარი გამოვა და...

აი, აქ მოგვიწვეს მეტად უსიამო ებილოგის მიწერა: ქართული საფეხბურთო ცნობარი წლეუნიდელ სეზონში არ გამოვა (თუმცა, როგორც დავაუხსტეთ, მისი გამოცემის მასალები — გარდა კალენდრისა და გუნდების შემადგენლობების — ჯერ კიდევ... გასული წლის დეკემბერში იყო მზად).

მანამდე კი... თბილისის „სოიუზპრესის“ ჩიხურებში შეიძინეთ მოსკოვში გამოცემული ცნობარი, ხოლო კიევისა და ხარკოვში... თბილისური „ფეხბურთი-88“.

ოთარ ნოზაძე.

**შენსეპლრა ღვანლონილი**  
**სპორტსმენებთან**

**სამართლებლო** ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის კათედრის ინიციატორი, კათედრის მწვრთნელი და სტუდენტებმა შეხვედრა მოუწვეს რესპუბლიკის სახელმწიფო სპორტსმენებს სპორტის დამსახურებულ

ოსტატებს ბორის პაიჭაძეს, რაფაელ ჩიმიშვიასს, ვახტანგ ბალაგაძეს და ვიქტორ სანევეს.

სტუდენტებს მესამედიდნი ფილოსოფიის კათედრის გამგე, პროფესორი ვ. გაგოძი, პროფესორი რ. კუთხულოვი, დოცენტი გ. ტალახაძე, სტუდენტმა დ. ტაბიძემ კი საკუთა-

# ფინალში:

## „მეტალისტი“ — „ტორპედო“



სსრ კავშირის საფეხბურთო თასის ფინალურ მატჩში 28 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). ფინალი, როგორც ყოველთვის, მოსკოვში გაიმართება. ტორპედოელს გამარჯვება წილად ხვდათ ულარესად დაძაბული ბრძოლა შემდეგ დენარობერტოვისის „დენარობან“. თამაშის ძირითადი დრო ფრედ დაიწყო, ხ. საინიგმა დამატებით დროში შეძლო ვადამწყვეტი ბურთის გატანა — 1:0.

მატჩი იმსახრა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოვილი, გ. სეფიაშვილი, თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გაფრთხილეს „დენარის“ ფეხბურთელები სოროკალეტი და ბაშკიროვი.

ვილნიუსის „ჟალგირისმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 1:2 წააგო ხარკოვის „მეტალისტთან“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ივანოვმა და იაკუბოვსკიმ (პენალტი), ხოლო „ჟალგირისის“ მხრივ — ნარბეკოვსკამ.

გაფრთხილეს „მეტალისტის“ მეკარე სივუხა.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი უახლოვდება

18 მაისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 2 მატჩი.

„კაირატი“ — „დინამო“ (მოხკოვი) 2:1 (2:0). მასპინძლებმა დინამოელთა კარში შეესვენებამდე 2 ბურთი გაიტანეს (გოლიანი, ნაიდნოვსკი), ხოლო დინამოელმა ბოროლიუკმა 29-ე წუთზე ერთი ბურთი გაეჭვივო.

გაფრთხილეს ალმათელი ფეხლევენილი.

დუბლიორები — 0:2.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) 1:2 (1:0). ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა მინსკელმა სოკოლომ. შესვენების შემდეგ კიეველმა პროტასოვიმ ორი გატანა ბურთით წინ გაიყვანა თავისი გუნდი.

დუბლიორები — 2:4.

### გათამაშების ცხრილი

#### დუბლიორთა შედეგანობა

მდგომარეობა	21 მაისისთვის
„ჟალგირისი“	10 6 2 2 26-7 14
„ლოკომოტივი“	9 6 1 2 19-5 13
„სპარტაკი“	9 6 1 2 18-8 13
„დინამო“ კ.	9 6 1 2 16-9 13
„ჩერნომორეცი“	10 5 3 2 10-5 13
„დინამო“ თბ.	10 5 3 2 13-12 13
„ტორპედო“	10 5 1 4 14-14 11
„ზენიტი“	10 5 1 4 11-13 11
„დინამო“ მ.	8 4 2 2 10-8 10
„დნეპრი“	10 3 1 6 10-15 7
„მეტალისტი“	10 2 3 5 12-13 7
„შახტორი“	10 2 3 6 12-23 6
„კაირატი“	10 2 2 6 7-20 6
„არარატი“	7 1 3 3 8-14 5
„დინამო“ მწ.	8 2 0 6 5-13 4
„ნეფთჩი“	8 0 2 6 0-12 2

### განვლილ შედეგებს დაიბარებენ

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის ფინალურ მატჩში 28 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

ფინალი, როგორც ყოველთვის, მოსკოვში გაიმართება. ტორპედოელს გამარჯვება წილად ხვდათ ულარესად დაძაბული ბრძოლა შემდეგ დენარობერტოვისის „დენარობან“.

თამაშის ძირითადი დრო ფრედ დაიწყო, ხ. საინიგმა დამატებით დროში შეძლო ვადამწყვეტი ბურთის გატანა — 1:0.

მატჩი იმსახრა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოვილი, გ. სეფიაშვილი, თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გაფრთხილეს „დენარის“ ფეხბურთელები სოროკალეტი და ბაშკიროვი.

ვილნიუსის „ჟალგირისმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 1:2 წააგო ხარკოვის „მეტალისტთან“.

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ივანოვმა და იაკუბოვსკიმ (პენალტი), ხოლო „ჟალგირისის“ მხრივ — ნარბეკოვსკამ.

გაფრთხილეს „მეტალისტის“ მეკარე სივუხა.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი უახლოვდება

18 მაისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 2 მატჩი.

„კაირატი“ — „დინამო“ (მოხკოვი) 2:1 (2:0). მასპინძლებმა დინამოელთა კარში შეესვენებამდე 2 ბურთი გაიტანეს (გოლიანი, ნაიდნოვსკი), ხოლო დინამოელმა ბოროლიუკმა 29-ე წუთზე ერთი ბურთი გაეჭვივო.

გაფრთხილეს ალმათელი ფეხლევენილი.

დუბლიორები — 0:2.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) 1:2 (1:0). ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა მინსკელმა სოკოლომ.

შესვენების შემდეგ კიეველმა პროტასოვიმ ორი გატანა ბურთით წინ გაიყვანა თავისი გუნდი.

დუბლიორები — 2:4.

### გათამაშების ცხრილი

#### დუბლიორთა შედეგანობა

მდგომარეობა	21 მაისისთვის
„ჟალგირისი“	10 6 2 2 26-7 14
„ლოკომოტივი“	9 6 1 2 19-5 13
„სპარტაკი“	9 6 1 2 18-8 13
„დინამო“ კ.	9 6 1 2 16-9 13
„ჩერნომორეცი“	10 5 3 2 10-5 13
„დინამო“ თბ.	10 5 3 2 13-12 13
„ტორპედო“	10 5 1 4 14-14 11
„ზენიტი“	10 5 1 4 11-13 11
„დინამო“ მ.	8 4 2 2 10-8 10
„დნეპრი“	10 3 1 6 10-15 7
„მეტალისტი“	10 2 3 5 12-13 7
„შახტორი“	10 2 3 6 12-23 6
„კაირატი“	10 2 2 6 7-20 6
„არარატი“	7 1 3 3 8-14 5
„დინამო“ მწ.	8 2 0 6 5-13 4
„ნეფთჩი“	8 0 2 6 0-12 2

### გათამაშების ცხრილი

#### მდგომარეობა 21 მაისისთვის

ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.	სტ.	ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.	
„დინამო“	10 6 4 0 17-7 16	„სპარტაკი“	10 6 3 1 18-8 15
„სპარტაკი“	10 6 3 1 18-8 15	„გეოლოგი“	10 5 2 3 12-11 12
„გეოლოგი“	10 5 2 3 12-11 12	„კოტაიცი“	10 5 2 3 13-15 12
„კოტაიცი“	10 5 2 3 13-15 12	„როტორი“	9 5 1 3 15-8 11
„როტორი“	9 5 1 3 15-8 11	„სპკ“	9 5 1 3 15-12 11
„სპკ“	9 5 1 3 15-12 11	„კუზბასი“	10 5 0 5 8-12 10
„კუზბასი“	10 5 0 5 8-12 10	„როსტსელ.“	9 4 2 3 13-9 10
„როსტსელ.“	9 4 2 3 13-9 10	„სპარტაკი“	10 4 2 4 12-15 10
„სპარტაკი“	10 4 2 4 12-15 10	„სპკ კაირობატი“	9 4 1 4 15-7 9
„სპკ კაირობატი“	9 4 1 4 15-7 9	„ზარია“	9 3 3 3 11-8 9
„ზარია“	9 3 3 3 11-8 9	„დაუგაევი“	9 3 3 3 6-7 9
„დაუგაევი“	9 3 3 3 6-7 9	„კუბანი“	10 3 3 4 9-13 9
„კუბანი“	10 3 3 4 9-13 9	„გური“	9 4 0 5 10-11 8
„გური“	9 4 0 5 10-11 8	„შინიკი“	9 3 2 4 8-10 8
„შინიკი“	9 3 2 4 8-10 8	„კოლოსი“	10 3 2 5 7-10 8
„კოლოსი“	10 3 2 5 7-10 8	„ფანთაქორი“	10 2 4 4 10-12 8
„ფანთაქორი“	10 2 4 4 10-12 8	„ტავრია“	9 2 4 3 4-6 8
„ტავრია“	9 2 4 3 4-6 8	„მეტალურგი“	10 1 4 5 4-13 6
„მეტალურგი“	10 1 4 5 4-13 6	„დინამო“ ბ.	9 2 0 7 5-13 4
„დინამო“ ბ.“	9 2 0 7 5-13 4	„ზევზლა“	10 0 4 6 6-18 4
„ზევზლა“	10 0 4 6 6-18 4		

### საპროფესიონო პირველობა

„კოლხეთი“, უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ვ. კვიციანი, მ. ჯიქია, მ. შეროზია, ვ. თუთბერიძე, მსაჯთან კამათისთვის — ო. თუთბერიძე (ხუთივე — „დინამო“).

„ეგრისი“ (ცხაქაია) — ფიჭულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: ჯ. შონია (ეგრისი), ა. მეტევე (ფიჭ. ინსტ.).

„სალხინო“ (გეგეკორი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:3. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი). გოლები: გ. ჭუბაბერაძე, ვ. ოდიშარია, ბ. ჰურვიანიძე.

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ვ. ზარქუა („სქური“) და დ. ჭიქაია („სალხინო“).

### გათამაშების ცხრილი

#### მდგომარეობა 21 მაისისთვის

კოლხეთი	11 8 1 2 24-10 17
„სალხინო“	11 7 3 1 14-7 17
„დინამო“ ზ.	11 6 4 1 22-8 16
„შარდევანი“	11 6 3 2 14-8 15
„ამირანი“	11 6 2 3 20-10 14
„მადნეული“	11 6 2 3 18-15 14
„სამეგრელო“	11 6 1 4 14-17 13
„შახტორი“	11 5 2 4 15-12 12
„სალხინო“	11 5 2 4 18-12 12
„მეტალურგი“	11 5 1 5 20-14 11
„მეშახტე“	11 5 1 5 10-12 11
„დინამო“ გ.	11 5 1 5 10-13 11
„ქართლი“	11 4 3 4 15-20 11
„მალაროელი“	11 3 3 5 12-17 9
ფიჭ. ინსტ. თბ.	11 2 5 4 15-9 9
„დურგუჯი“	11 2 5 4 12-18 9
„ეგრისი“	11 2 4 5 10-16 8
„საბოგნელო“	11 3 1 7 13-16 7
„არმაზი“	11 2 3 6 13-16 7
„სქური“	11 2 3 6 11-17 7
„ეგრისი“	11 2 3 6 9-18 7
„სპარტაკი“	11 1 3 7 12-19 5

### პირველობა

#### ალმოსავლეთი აქაჯაუზი

„სპი-დინამო“-3 (თბილისი) — „მეტალისტი“ (რუსთავი) 1:3, ახ. საფ. სკ. (თბილისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 0:2, „მეფრინველ“ (კასპი) — „თრიალეთი“ (წალკა) 3:0, „პერეთი“ (ლაგოდეხი) — სსი (მუხრანის რ-ნი) 2:2, „ალიგეთი“ (მარნეულ) — „ვარძია“ (ასპინძა) 0:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „აბული“ (ახალქალაქი) 3:2, „ფოსტამტი“ (თბილისი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 2:1, „კახეთი“ (თელავი) — „თორი“ (ბორჯომი) 1:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „მეფრინველ“ (კასპი) 2:0, „თორი“ (ბორჯომი) — „იმედი“ (თბილისი) 4:0, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:0, „ვარძია“ (ასპინძა) — სპი-დინამო“-3 (თბილისი) 0:0, „აბული“ (ახალქალაქი) — „ფოსტამტი“ (თბილისი) 3:3, „თრიალეთი“ (წალკა) — „პერეთი“ (ლაგოდეხი) 1:1.

#### დასავლეთი აქაჯაუზი

„საირმე“ (მათკოვსკი) — „დვებუ“ (მანარაძე) 1:0, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — ხდკ (სამტრედია) 1:0, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) 5:3, „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „ჩხური“ (სახჩერე) 2:0, „მზიური“ (გალი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 5:3, „მამისონი“ (ონი) — „იმედი“ (კამიშინი) — „ატომში“ (გოლგოდონსკი) 1:0, „სოკოლო“ (სარატოვი) — „ტორპედო“ (კოლხეთი) 4:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „თერგი“ (გროზნო) 3:0, „დინამო“ (გორი) — „დინამო“ (მანაჩხალა) 1:0, „შეგარდენი“-სპი (თბილისი) — „გოიაზანი“ (გაზახი) 4:1, „ლოკომოტივი“ (მინერალური წყლები) — „ქიაფაზი“ (კიროვობადი) 0:0, „გოსსოლი“ (სუმგაითი) — „ლოკომოტივი“-ოლიმპიური მომზადების ცენტრი“ (თბილისი) — 3:0, „ბაიენიცი“ (ბაქო) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:3.

### გათამაშების ცხრილი

#### IX ზონა

#### მდგომარეობა 21 მაისისთვის

სოკოლო	4 3 1 0 9-3 7
„ტორპედო“ ქ.	4 3 1 0 8-3 7
„მეტალურგი“	4 3 1 0 7-3 7
„შეგარდენი“-სპი	4 3 0 1 8-3 6
„დინამო“	4 3 0 1 4-4 6
„ქიაფაზი“	4 2 1 1 6-2 5
„გოიაზანი“	4 2 1 1 6-4 5
„ტექსტილშიკი“	4 2 0 2 5-3 4
„გოსსოლი“	4 1 1 2 4-6 3
„ლოკომ.“ ო. მ. ც.	4 1 0 3 4-7 2
„დინამო“	4 1 0 3 4-7 2
„ტორპედო“ ვ.	4 1 0 3 7-11 2
„თერგი“	4 1 0 3 2-6 2
„ბაიენიცი“	4 1 0 3 3-9 2
„ლოკ.“ (მინ. წ.)	4 0 2 2 1-5 2
„ატომში“	4 0 2 2 0-2 2

ერეთი“ (წულუკიძე) 3:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 3:0, „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 2:1, „დვებუ“ (მანარაძე) — „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 3:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „მზიური“ (გალი) 0:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 2:1, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „მამისონი“ (ონი) 4:2, „ჩხური“ (სახჩერე) — „საირმე“ (მათკოვსკი) 1:2, ხდკ (სამტრედია) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 1:1, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 2:1.

### მსხვერპლი

#### ალმოსავლეთი აქაჯაუზი

„გარეჯი“ (საგარეჯო) — სპი (თბილისი) 2:1, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:1, „მინი“-35 (თბილისი) — „მეტალურგი“-2 (რუსთავი) 4:1, „შირაქი“ (წითელწყარო) — „განთიანი“ (დმანისი) 4:1, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „კოლმეურნი“ (მარნეულის რ-ნი) 2:1, „სინათლე“-სპორტივტირანი (თბილისი) — „მარაბდა“ (კოლა) 1:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ნაფარული“ (თელავის რ-ნი) 2:2, „კოლმეურნი“ (მარნეულის რ-ნი) — „ნაფარული“ (თელავის რ-ნი) 0:0, „მარაბდა“ (კოლა) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 3:2, „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „მინი“-35 (თბილისი) 2:0, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 1:1.

#### დასავლეთი აქაჯაუზი

„იმერია“ (ქარელი) — „ფიქარი“ (ხაშური) 1:1, „ქოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) — „ქვემო ჭალა“ (კასპის რ-ნი) 4:1, „ზარზმა“ (აღიგენი) — „ფარვანა“ (ზოგდიდის რ-ნი) 1:0, „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „ფეტოპოლისტი“ (გორი) 4:1, „ლიახვი“ (ცხინვლის რ-ნი) — „ბავიათი“ (ჯავა) 2:1, „ხეგალი“ (კაგერი) — „ცენტრმეტალურგმენი“ (ზესტაფონი) 1:2, „ფარვანა“ (ზოგდიდის რ-ნი) — „მეფრინველი“ (კასპი) 3:1, „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „ალიგეთი“ (ცხინვლის რ-ნი) 3:0, „ქვემო ჭალა“ (კასპის რ-ნი) — „მეშქერე“ (აგარა) 3:1, „ფიქარი“ (ხაშური) — „ქოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 4:1, „ორპირი“ (ოკრიბა, ტუიბული) — „იმერია“ (ქარელი) 3:2.

#### დასავლეთი აქაჯაუზი

„ბეთლემი“ (ქედა) — „მელექელი“ (მხარაძის რ-ნი) 2:0, „ზანა“ (ბაზა) — „ახალსოფელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 0:2, „კოლოსი“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ბათუმი) 4:1, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „განთიანი“ (ცხაქაია) 4:1, „ალიგეთი“ (გალის რ-ნი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 0:0, „უნივერსიტეტი“ (სოხუმი) — „კახაბერი“ (ხელოვანის რ-ნი) 3:1, „ფეტოპოლისტი“ (ბათუმი) — „ბეთლემი“ (ქედა) 2:1, „ახალსოფელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „კოლოსი“ (ქუთაისი) 1:1, „კახაბერი“ (ხელოვანის რ-ნი) — „ალიგეთი“ (გალის რ-ნი) 3:0, „მელექელი“ (მხარაძის რ-ნი) — „ზანა“ (ბაზა) 3:0.

# ოლიმპიური სპორტსმენი

ოლიმპიური სპორტსმენი ფეხბურთელი ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ამ ქვეყნის გუნდი. ევროპის ზონის „მ“ ჯგუფში მათ გაინადღეს პირველი ადგილი და მასთან ერთად სეზონის ოლიმპიური თამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება. ჯგუფში ჩაატარებულ კიდევ ერთი მატჩი ავსტრიისა და ფინეთის გუნდებს შორის, მაგრამ ეს უკვე აუტსაიდურია სფერო.

დანიის ოლიმპიული ფეხბურთელი ჰანს-ოლე სონდბერგი პირველი პოლონეთის გუნდი მიიღეს სეზონის ზონის „მ“ შესარჩევი ჯგუფი და ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს. დანიის ნაკრები ახლა პირველ ადგილზეა თავის ჯგუფში, მაგრამ ოლიმპიადის ფინალისთვის საკითხი ჯერ კიდევ გარკვეული არაა. ჯგუფის გამარჯვებულის საკითხი გადა

პროგრესი  
რეპროდუქციის  
კომპლექტი



# პირველი ბრძოლა ტატაზე

**ბაგდადიანი** (ესპანეთი). ძიულთ-ისტა ევროპის ჩემპიონატებში საბჭოთა მოქიდავები, როგორც წესი, წარმატებით გამოდიან. ბოლო ექვს ტურნირში გათამაშებული 48 ოქროს მედალთან, ჩვენს ძიულთისტებს მოპოვებული აქვთ 18 უმაღლესი ჯილდო, ბევრად უფრო მეტი ვიდრე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ აქ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მონაწილეობაზე მასპინძლები ყველაზე დიდ ინტერესს საბჭოთა გუნდის წევრთა გამოვლენისადმი იჩენენ.

მაგრამ წლებად ტურნირში ჩვენი ყველა უძლიერესი ძიულთისტი არ მონაწილეობს. ბევრი მათგანი შინ დარჩა და მომავალი სტრატეგიისთვის ინდივიდუალური გეგმით ემზადება. ოლიმპიური თამაშების წესს ასეთ გაბედულ ექსპერიმენტს, ცხადია, აქვს გამართლება და სსრ კავშირის სპორტსაკომისის წამყვანმა მწვრთნელმა ძიულთში ვიჩესლავ ხობლოვმა იგი ასე განმარტა:

ჩვენ გაგვიჩნდა ღირსეულ ათლეთა დიდი არჩევანი და ამიტომაც გადაწყვიტეთ მათ გამოცდა საბასუხისმგებლო ტურნირში.

ასეა თუ ისე ჩემპიონატისადმი ინტერესი დიდია, რაზედაც პირველ რიგში მონაწილეთა რაოდენობა შეტყვევებს. ბაგდადიანს კონტინენტის ჩემპიონატის მედლებისათვის საბრძოლველად 36 ქვეყნის წარმომადგენლები ეწვევიან. აქვე არიან სამეთვალყურეოდ ჩამოსული იაპონელი, სამხრეთ-კორეელი და ამერიკელი სპეციალისტები.

პირველი დღის შეხვედრებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის გრიგორი ვერიხევის (მძიმე წონა) ორი გამარჯვება. პირველი ორთაბრძოლა ბელგიელ პარი ვან ბარენფელდს მან წმინდად (იპონით) მოუგო, მეორე შეხვედრაში კი მსაჯებმა ვერიხევის მეტოქე უნგრელი იშტვან დუბოვსკი შეჯიბრებიდან მოხსნეს.

86 კგ წონის კატეგორიაში კარგი სტარტი აიღო უკრსკელმა ალექსანდრე სივცევამ — იტალიელი ვალტერ არჯენტინა წმინდად დაამარცხა, მაგრამ შემდგომში წარმატების შენარჩუნება ველარ შეძლო და ავსტრიელ მოქიდავესთან, ოლიმპიურ ჩემპიონ პეტერ ზაიზენბაჰერთან მარცხი განიცადა.

# თბილისის პილიატი...

ჭერჭერობით ახეა: რა ხაკითხავია, სად გაიმართება წყალმობილამურთა რესპუბლიკური პირველობა. რა თქმა უნდა, ფოთში იქ, სადაც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო წყალსაბრძოლა მოხდება და ახლაც ახე მოუხსნია სტუმრობას ხაბჭოთა კავშირის ნაკრებმა და მთელი წლის განმავლობაში ემზადება ფოთელი წყალმობილამურეებით დაკომპლექტებული ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები.

სხვანაირად არც იქნება: საგანგებოდ წყალმობილამურეებისთვის აშენებული ეს მშვენიერი საწყლონო კომპლექსი დღესდღეობით ერთადერთია ჩვენს რესპუბლიკაში, ასე რომ, ამ სახეობის წარმომადგენლებს არჩევანი არცა აქვთ, მაგრამ სიტყვა „ჭერჭერობით“ ტყუილად როდღე ვიხმარეთ: საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გაისად თუ არა, მერე კი აუცილებლად თბილისშიც ვიხილავთ ჩვენი წყალმობილამურეების შეჯიბრებას. ჩვენი ოპტიმიზმის საფუძველზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი ახლახან ფოთში ჩატარებულ წყალმობილამურეთა წლებადგულ რესპუბლიკურ პირველობაზე ვილაპარაკოთ.

ისე, როგორც შარშან, „ოქროს ტბაზე“ ამჯერადაც ოთხი გუნდი შეიკრიბა. ფოთელებთან, თბილისელებთან და რუსთაველებთან ერთად უკონკურსოდ იასპარეზეს ლიტვლმა სპორტსმენებმა, რომლებიც ფოთში ტრადიციულად ამ დროისათვის აწყობენ შეჯიბრებას.

პირველობა სლალომში შეჯიბრ-

ებით დაიწყო. საქართველოს ნაკრების ლიდერებს, ფოთელ სპორტსმენებს ხათუნა კორკელიასა და გენადი პეტრუხინს პირველობას, რა თქმა უნდა, ვერაფერ შეეცდია. არც იმის გამოცხობა იყო ძნელი საქმე, თუ ვინ ჩაუდგებოდა ლიდერებს კვალში: რესპუბლიკის ნაკრებში „მეორე ნომრებიც“ ფოთელები — ანეკლა ბესელია და გიორგი სურგულაძე არიან და მეორე ადგილები მათ ერგოთ. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კი თბილისელები — ეკა ბაბუნძიე და მიხეილ შენგელია ავიდნენ.

შემდეგ მონაწილეებმა ფეხურული სრილის ტრასაზე გადანიშნულეს. გოგონათა შორის საბრძოლველი ამჯერადაც იმავე თანმიმდევრობით განაწილდა, როგორც სლალომში — პირველი იყო კორკელია, მეორე — ბესელია, მესამე — ბაბუნძიე, ვაჟებში კი ლიდერიც შეიცვალა და მესამე პრიზითრიც: პეტრუხინი ტრასაზე დაეცა და პირველობა სურგულაძეს „დაუთმო“, მესამე ადგილი კი თბილისელმა ზაალ ქაჯიამ დაიკავა.



ქარმა და ავღარმა შეჯიბრება შექვეცა — ტრამპლინზე ბტომები არ ჩატარებულა, ასე რომ, ორჯიდის ჯამში საუკეთესონი აღმოჩნდნენ ხათუნა კორკელია და გენადი პეტრუხინი.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომ დავიბრდით თბილისელებს და როდის ნახავენ ისინი წყალმობილამურეთა შეჯიბრებებს. საქმე ისაა, რომ წელს, 9-11 სექტემბერს, თბილისში ჩატარდება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება წყალსაბრძოლაში სპორტში. ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებას, ცხადია,

დახვედრაც სათანადო უნდა. უკვე შემუშავდა მოსამზადებელი სამუშაოების ვრცელი პროგრამა, სხვადასხვა ორგანიზაციებმა და უწყებებმა დაიწყეს კიდევ დაგეგმვის „გეგმვა“ და, იმედია, ამ შეჯიბრებასაც ისე ვუმახსოვრებთ, როგორც ვეცხვეთ. მერე კი, როცა საქმიური თასის გათამაშების მონაწილეებს გავისტუმრებთ და სათანადო გამოცდილებასაც შევიძენთ, ჩვენი რესპუბლიკის წყალმობილამურეთა შეჯიბრებებს თბილისის ზღვასა თუ ლისის ტბაზეც ხშირად ვიხილავთ.

თამაზ მიხრაიული.

## კალეიდოსკოპი



### რამდენად საზოგადოებრივი პრაქტიკაა?

როგორც ცნობილია „შავი კონტინენტის“ მეტექსტურა ჩემპიონატი ფეხბურთში „ფრიკის თასზე“ მაროკოში ჩატარდა. ამ ტურნირის დამთავრების შემდეგ ადგილობრივმა გაზეთებმა ერთხმად განაცხადეს, რომ მაროკოს წარმატებით შეუძლია უმახსოვროს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატს.

მთავრობის ოფიციალური ორგანო, გაზეთ „მატენ დიუ საარა“ პირდაპირ აღნიშნავს: „აფრიკის თასის გათამაშებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მაროკოს თამაშად შეუძლია ფეხბურთელთა მსოფლიო ფორუმის ჩატარება. ქვეყანას აქვს დიდი პოტენციალი და სიბრძნე, აგრეთვე დრო, რომ ისინი გააუმჯობესოს.“

რამდენად რეალურია მაროკოელთა პრეტენზიები გაიკვება ამ წლის ივლისში. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციას ამ ქვეყნის გარდა მოითხოვენ ბრაზილია და ამერიკის შეერთებული შტატები.

### მომავალი გადამდები

სეულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლებას ადასტურებს მოწმობა, რომელიც ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის 214 სპორტს-

მენსა და მწვრთნელს გადაეცა. შეჯიბრებაზე, რომელზეც ეს ცერემონიალი შესრულდა ქვეყნის სპორტული კავშირის თავმჯდომარის ბოადვილმ ლ. კუბეცმა განაცხადა: „ოლიმპიზმი და მისი ფაქტობრივი ზუსტად პასუხობს სოციალისტური ქვეყნების მშვიდობის-მოყვარე საგარეო პოლიტიკას. სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება სეულის ოლიმპიადამი მონაწილეობაზე. თუმცა კი სამხრეთ კორეა ჯერ კიდევ სამხედრო დიქტატურის გავლენას განიცდის.“

ამვე სხდომაზე აღინიშნა, რომ ნაკრებ გუნდებში მოსახვედრი გზა ჯერ არ ჩაეკეტა. დარჩენილ დროში ყველას შეუძლია გააუმჯობესოს პირადი შედეგი და მიიღოს სასუკარი მოწმობა.

### კუზა განაშენიანებულ თამაშებს უმახსოვრებენ

კუბაში შეიქმნა პანამერიკული თამაშების (1991 წლის 3-18 აგვისტო) მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სახელმწიფო საბჭოსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფრედო კასტრო. კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშია 36 კაცი, ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და განათლების მინისტრი პოსე რამონ ფერნანდესი.

უკვე გამოცხადდა, რომ თამა-

შების პროგრამაში იქნება ოცდათერთმეტი სპორტული დისციპლინა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავისუფლების კუნძულს მოცემული რეგიონის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი ეწვევა. ჩვენ გვაქვს — განაცხადა ფერნანდესმა, — დიდი შეჯიბრებების მოწყობის გამოცდილება და ამ ღონისძიებასაც სათანადო, მისთვის საკიდრის დონეზე ჩაატარებთო.

### ჯილდოს მორა მფლობელი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი გამოცხადდა „ასტურის პრინცის ჯილდოს“ ლაურეატად. ეს პრიზი ყველაზე დაფასებული ჯილდოა ესპანეთში, რომელსაც საერთაშორისო სპორტში განსაკუთრებული დამსახურებისთვის გადასცემენ. 67 წლის სამარანჩი, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე 1980 წლიდან მოღვაწეობს, ჯილდოს მეორე მფლობელი გახდა.

პირველად კი „ასტურის პრინცის ჯილდო“ 1987 წელს მიიღო ინგლისელმა მორბენალმა, მოსკოვისა და ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა 1500 მეტრზე რბენაში ინგლისელმა სებასტიან კოემ.

### კალეიდოსკოპი



## „ტრაისერი“ „საპოლინი“ შესავალი

### რომი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორჯის მფლობელმა კალათბურთში მილანის „ტრაისერი“ იტალიის ჩემპიონის ტიტული ქალაქ პიზაროს კლუბს „სკავოლინი“ დაუთმო.

„ტრაისერი“ სუპერფინალური მატჩების სერიაში დამარცხდა ანგარიშით 1:3. ბოლო შეხვედრაში, რომელიც „სკავოლინი“ შინ ჩაატარა 6 ათასმდე მაყურებლის თანდასწრებით მილანელმა ბრძოლა შეუპოვებო პაექრობის შემდეგ დათმეს — 87:98. მათ, სხვათა შორის, ვერ უშველა ამერიკელმა პროფესიონალმა ბობი მაკალუმმა კი, თუმცა, ამ მატჩში თავის კოლეგებს ყველაზე მეტი ქულა შესძინა — 29. ახალი ჩემპიონის შემადგენლობაშიც საუკეთესო სწრაფი ამერიკელი დარენ დეი იყო — 25 ქულა.

„სკავოლინი“ ახალ სეზონში იტალიის ღირსებას დაიცავს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

### სპორტულ განჯეხ

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 22 მაისი. ოქროქაის სპორტული ბაზა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ღინამი“ (გაგრა). დასაწყისი 18 საათზე.

### რედაქტორი თ. განაჩილიაძე.



22 მაისი ქართული ღია პილიატი

ქართული ღია პილიატი დაიწყო. საქართველოს პილიატი არჩევა ხაკუთარი სურვილით, ურთიერთშეთანხმებით ხდება. 22 მაისს, ქართული ღია პილიატი დაიწყო. საქართველოს პილიატი არჩევა ხაკუთარი სურვილით, ურთიერთშეთანხმებით ხდება. 22 მაისს, ქართული ღია პილიატი დაიწყო. საქართველოს პილიატი არჩევა ხაკუთარი სურვილით, ურთიერთშეთანხმებით ხდება.

**ჩვენი მისამართი:**  
წერილებისთვის — 380098  
თბილისი, ლენინის ქ. 14.  
დეკრებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**კადასტრის ბალანსი:**  
წერილების განყოფილება — 93-97-55,  
სამდივნო — 93-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,  
„მერანი“ — 93-97-26, „მართვა“ — 93-97-27.

**ჩვენი**  
064350  
66435

საქართველოს კ ცვ-ის გამოცემის შრომის წითელი დროის ორდენის ტაშა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კარბუსი: ზომარაულის, 29.  
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05359